# სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

**ივნისი 2022**

2022 წლის ივნისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **157 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **245 ლარი.** საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა მაისში **110 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივნისში **519 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 702 ლარი შეადგინა, კახეთში - 575, თბილისში - 568, ხოლო აჭარაში - 552 ლარი.

**3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 ივნისი, ლარი)**




**გრაფიკი 1:** 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

## სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2022 წლის ივნისში, 2022 წლის მაისთან შედარებით, 7.5%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 7.6%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 9.8%-ით გაიზარდა.

2022 წლის ივნისში, 2021 წლის ივნისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 10.2%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 15.2%-ით გაიზარდა.

| რეგიონი | სასტუმრო | | 3*, 4*, 5* | | საოჯახო | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2022 მაი/ 2022 აპრ | 2022 მაი/ 2021 მაი | 2022 მაი/ 2022 აპრ | 2022 მაი/ 2021 მაი | 2022 მაი/ 2022 აპრ | 2022 მაი/ 2021 მაი |
| კახეთი | 0.4% | 12.9% | 0.2% | 8.7% | 0.5% | 14.8% |
| იმერეთი | 0.5% | 13.8% | 0.7% | 11.7% | 0.4% | 14.7% |
| გურია | 23.9% | 2.1% | 35.1% | 9.2% | -4.4% | -16.7% |
| ქვემო ქართლი | 2.5% | -32.3% | 0.0% | | 5.0% | -32.3% |
| აჭარა | 19.4% | 12.5% | 22.1% | 10.2% | 12.7% | 17.7% |
| რაჭა | -8.5% | 23.1% | | | -8.5% | 23.1% |
| შიდა ქართლი | -1.1% | -8.9% | -4.3% | -1.3% | 0.5% | -16.0% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | -3.3% | -2.6% | 1.0% | -5.1% | -5.6% | -0.8% |
| სამცხე-ჯავახეთი | -2.1% | 7.6% | 0.4% | 14.1% | -4.3% | -2.0% |
| მცხეთა-მთიანეთი | 4.7% | 4.5% | -1.2% | -2.6% | 10.5% | 15.8% |
| თბილისი | 4.9% | 10.8% | 4.0% | 10.3% | 13.1% | 18.9% |
| **სულ ფასების % ცვლილება** | **7.5%** | **10.2%** | **7.6%** | **8.4%** | **9.8%** | **15.2%** |

**ცხრილი 1**: ფასების % ცვლილება 2022 წლის ივნისში, 2022 წლის მაისის ფასებთან და 2021 წლის ივნისის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმრო-ების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთ-ვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.